აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 54

14/09/2016 წელი ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატების საარჩევნო რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ

საარჩევნო სუბიექტის „შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში კანონით დადგენილ ვადაში წარმოდგენილ პარტიულ სიაში რიგით N14 თამილა ბასილაძე, N15 გოჩა ბართია, N16 იმედა მიქელაძე, N26 ლაშა ზაქარაძე და N33 ჯენეტი ღორჯომელაძე არ აკმაყოფილებენ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს, ვინაიდან მათ არ შესრულებიათ და 2016 წლის 8 ოქტომბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღისათვის არ უსრულდებათ 25 წელი.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის, 41-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის და 74-ე მუხლის მე-11 პუნქტის საფუძველზე, **ვადგენ:**

1. უარი ეთქვას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო რეგისტრაციაზე საარჩევნო სუბიექტის „შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ პარტიული სიით წარდგენილი უმაღლესი საბჭოს წევრობის შემდეგ კანდიდატებს:

ა) თამილა ბასილაძე (პარტიული სიით №14);
ბ) გოჩა ბართია (პარტიული სიით №15);
გ) იმედა მიქელაძე (პარტიული სიით №16);
დ) ლაშა ზაქარაძე (პარტიული სიით №26);
ე) ჯენეტი ღორჯომელაძე (პარტიული სიით №33).

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პარმენ ჯალაღონია

თავმჯდომარე